ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №2

22 დეკემბერი, 2017 ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
5. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი;
7. მიხეილ ამაშუკელი -კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-03173531-03, 19.12.2017);

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735351-03, 19.12.2017);

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735350-03, 19.12.17);

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად მიხეილ ამაშუკელის დანიშვნის შესახებ.

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებლი:

- **მერაბ მამულაშვილი** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

კომისიის სხდომა წარიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად.

თ.ისაკაძე - გახსნა კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პირველი საკითხი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტზე მსჯელობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ილია ელოშვილის ბიოგრაფია და მოუწოდა კენჭი ეყარათ განკარგულების პროექტის (12-03173531-03, 19.12.2017) საკრებულოს სხდომაზე გატანის საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **7;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი“ (12-03173531-03, 19.12.2017) გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.**

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735351-03, 19.12.2017):

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ცვლილებები ხორციელდება მიკროავტობუსების მოძრაობის მარშრუტებში, ცვლილებების თანახმად, ხდება ორი ახალი სამარშრუტო ხაზის დამატება.

მ.მამულაშვილი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სამარშრუტო ხაზების მომსახურების არეალის არსებითად ცვლილება არ მოხდება. მარშრუტები გაგრძელდება სავაჭრო ცენტრების („ისთ ფოინთი“, „თბილისის ზღვის პლაზა“, „თბილისი მოლი“) მიმართულებით. სამარშრუტო ხაზების ცვლილება ძირითადად გამოწვეულია პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან და დავით აღმაშენებლის გამზირის გარკვეული მონაკვეთის საფეხმავლოდ მოწყობიდან გამომდინარე. დანარჩენი სამარშრუტო ხაზების ცვლილება დაიგეგმა მოსახლეობის მომართვიანობის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მოხდება ორი ახალი სამარშრუტო ხაზის დამატება (მარშრუტები: **№64, №54**).

მარშრუტი **№64**-ის საწყისი წერტილი იქნება ნინო რამიშვილის ქუჩა და იმოძრავებს შემდეგი მიმართულებით - სიმონ ჩიქოვანის ქ. (ხილიანი) - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა

მოედანი - ვარაზისხევის ქ. - მელიქიშვილის ქ. - მერაბ კოსტავას ქ. - შოთა რუსთაველის გამზირი - თავისუფლების მოედანი - ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ორბელიანის მოედანი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **7;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- **მოწონებული იქნას „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (12-031735351-03, 19.12.2017) და წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.**

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735350-03, 19.12.17).

მ.მამულაშვილი - კორექტირება ხდება M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტებში. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განახორციელა დედაქალაქში ამჟამად მოქმედ M3 კატეგორიის მარშრუტებზე ჩართული „ბოგდანი"-ს მარკის ავტობუსების (დიდი და საშუალო ტევადობები) ჩანაცვლება „MAN"-ის მარკის „Lion's City"-ის მოდელის (12 მეტრი სიგრძის) შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე დაბალიატაკიანი საქალაქო ავტობუსებით, სადაც გამონთავისუფლებული მოძრავი შემადგენლობა, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადანაწილდება მოქმედ მარშრუტებზე.

M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტების ცვლილებებიც ძირითადად განპირობებულია პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არსებული რეალობის გათვალისწინებით და უკეთესი სატრანსპორტო მომსახურების მიზნით, ქალაქს ემატება ახალი **№54** მარშრუტი. მისი დაწესების მიზანშეწონილობა გამოწვეულია დიდ დიღომში ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე, სადაც საგრძნობლად გაიზარდა მაცხოვრებელთა რაოდენობა. მარშრუტის მოძრაობის მიმართულება მოთხოვნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით.

შ.ოგბაიძე - პეკინის ქუჩის ორგანიზების ცვლილების შემდეგ ავტომობილების დიდმა ნაკადმა გადაინაცვლა ბუდაპეშტის ქუჩაზე, რამაც გამოიწვია ბუდაპეშტის ქუჩის გადატვირთვა, არსებული სიტუაციის განსატვირთავად კარგი იქნება თუ სიმონ კანდელაკის ქუჩაზე გაკეთდება „ბას ლაინი".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **7;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- **მოწონებული იქნას „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (12/031735350-03, 19.12.17) და წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.**

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად მიხეილ ამაშუკელის დანიშვნის შესახებ;

თ.ისაკაძე - საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების მიხედვით, კომისიამ კომისიის წევრთაგან უნდა განსაზღვროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. მოცემულ პოზიციაზე წარმოგიდგენთ მიხეილ ამაშუკელის კანდიდატურას.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურა და მიხეილ ამაშუკელი განსაზღვრული იქნა, როგორც თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**